განკარგულება:**გ-49. 49223013**
თარიღი:**28/10/2022**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 123

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ,,გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)“ - ს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 19 ოქტომბრის №48-482229274 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში „ურბანული წარმოსახვის პროგრამის“-ს შექმნის მიზნით კონკურსის საფუძველზე შერჩეულ იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული პროექტის მიზანია კულტურული ღონისძიებების მასპინძლობისა და კულტურული ჰაბის ჩამოყალიბებისთვის ღია სივრცის შექმნა, რომლსაც ესაჭიროება კეთილმოწყობილი ინფარასტრუქტურა. აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 2022-2024 წლებში დაახლოებით მიიღებს 60 000 ევროს (ექვივალენტს ლარში) დაფინანსებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის #1990 და 2020 წლის 31 დეკემბრის #2674 განკარგულებების შესაბამისად :

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ,,გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)“ - ს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი